პროლეტარიელნო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

ოთხშაბათი, 1 ნოემბერი, 1944 წ. № 221 (7174). ფასი 20 კაპ.

გაუმარჯოს მამაც წითელ არმიას, რომელიც ანადგურებს ჰიტლერელ დამპყრობლებს გერმანიის ტერიტორიაზე! დიდი საბჭოთა სახელმწიფოს მეთაურს — წინ, დასავლეთისაკენ! საბოლოოდ მოვსპოთ ფაშისტი მხეცი მის ბუნაგში!

საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მოწოდებანი საბჭოთა კავშირის ეროვნული ფრონტის ორგანიზაციებისადმი, ეროვნული ფრონტის ორგანიზაციებისადმი, ეროვნული ფრონტის ორგანიზაციებისადმი,

პარტიული ცხოვრება

ავამაღლოთ კომუნისტების ავანგარდული როლი

პარტიის წესდება თვითეული კომუნისტისაგან მოითხოვს, რომ იგი „იყოს შრომითი და სახელმწიფოებრივი დისციპლინის დაცვის ნიმუში, ეუფლებოდეს თავისი საქმის ტექნიკას, განუწყვეტლივ ამაღლებდეს თავის საწარმოო, საქმიან კვალიფიკაციას“.

ხელოს რაიონის კომუნისტები თავდადებულად მუშაობენ, რათა გაამართლონ ლენინ-სტალინის პარტიის წევრის მაღალი სახელწოდება. ისინი პირადი მაგალითით აღფრთოვანებენ მასებს, ეხმარებიან ჩამორჩენილებს, გამოჰყავთ ისინი მოწინავეთა რიგებში და აღწევენ საერთო წარმატებას მუშაობაში.

პარტიის საწესდებო მოთხოვნას კარგად ასრულებს კომუნისტი ამხ. მ. საგინაძე. სოფელ დიოკნისის „პარიზის კომუნის“ სახელობის კოლმეურნეობაში ამხ. საგინაძის ბრიგადა განთქმულია თამბაქოს უხვი მოსავლის მიღებით. ბრიგადამ წელს 28.000 ზონარმეტრის ნაცვლად 50.636 ზონარმეტრი თამბაქო აიღო. კოლმეურნეთა საერთო სიყვარულითა და პატივისცემით სარგებლობენ აგრეთვე ახალგაზრდა კომუნისტები ამხ. მ. შავაძე და ამხ. ი. ძირკვაძე, რომლებიც რგოლის ხელმძღვანელებად მუშაობენ. მ. შავაძის რგოლმა გეგმით გათვალისწინებული 7.070 ზონარმეტრის ნაცვლად წელს 10.534 ზონარმეტრი თამბაქო შეტეხა. კოლმეურნე კომუნისტები არა მარტო თვითონ მუშაობენ სტახანოვურად, არამედ ეხმარებიან სხვებსაც, ასწავლიან სტახანოვური მუშაობის მეთოდებს. თამბაქოს დამზადებაში ძლიერ ჩამორჩებოდა კოლმეურნეობის მეორე ბრიგადა. პარტორგანიზაციამ ბრიგადას სტახანოველი კოლმეურნე კომუნისტი ამხ. ბ. კახაძე მიუძღვარა. ამხ. ბ. კახაძემ შეისწავლა ჩამორჩენის მიზეზები და დაეხმარა ბრიგადის შრომის მოწყობაში, მუშახელის სწორად განაწილებაში. ბრიგადაში მომუშავე კომკავშირელთა დახმარებით გაიშალა საგიტაციო მუშაობაც. ყოველივე ამან თავისი შედეგი გამოიღო. ბრიგადამ იწყო გეგმების შესრულება. მოყვანილია თამბაქოს უხვი მოსავალი. თამბაქოს სახელმწიფოსათვის ჩაბარების წლიურ გეგმას ბრიგადა ამ დღეებში შეასრულებს.

სოფელ სტეფანაშვილების ბერიას სახელობის კოლმეურნეობის პირველადმა პარტორგანიზაციამ (მდივანი ამხ. ს. ართმელაძე) შარშან პარტიაში მიიღო კოლმეურნე ამხ. შ. ბერიძე. იგი აქტიურად ჩაება საკოლმეურნეო საქმიანობაში და მალე ისე გაიზარდა, რომ დაწინაურებულ იქნა კოლმეურნეობის ერთ-ერთი ჩამორჩენილი ბრიგადის ხელმძღვანელად. ამ სამუშაოზე ამხ. შ. ბერიძემ კარგი უნარი გამოიჩინა. მან შესძლო კოლმეურნეთა დარაზმვა გამარჯვების მოსავლისათვის საბრძოლველად და საუკეთესო შედეგებს მიაღწია; ბრიგადამ ჰექტარზე 80 ცენტნერის ნაცვლად საშუალოდ 95 ცენტნერი კარტოფილი მოიწია.

შუახევის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობის მესამე ბრიგადამ, რომელსაც პარტიის წევრობის კანდიდატი ამხ. მ. ზოიძე ხელმძღვანელობს, უკვე 15 ოქტომბრისათვის გადაჭარბებით შეასრულა თამბაქოს დამზადების წლიური გეგმა და ახლა განაგრძობს თამბაქოს ჩაბარებას გეგმის გადამეტებით.

პარტიის წევრი ორდენოსანი ქალი ზეკეკან მექელაძე სოფელ ნიგაზეულის ბერიას სახელობის კოლმეურნეობის მე-13 რგოლის ხელმძღვანელია. მისმა რგოლმა წელს 6.000 ზონარმეტრი თამბაქოს ნაცვლად 11.000 ზონარმეტრი მიიღო.

ასევე პირნათლად ასრულებენ წარმოებაში ავანგარდულ როლს კომუნისტები ამხ. ფ. სურმანიძე, შ. დავითაძე, ჯ. ბაიახტაროღლი და მრავალი სხვა.

მაგრამ იგივე როდი შეიძლება ითქვას კომუნისტების ამხ. ფ. ფუტკარაძისა და მ. მეხეშიძის შესახებ. სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა მეორე პერიოდში მათ არ გამოუმუშავებიათ შრომადღეების დაწესებული მინიმუმიც კი, რისთვისაც ხულოს რაიონის სატალონ სასამართლომ მათ ექვს-ექვსი თვის იძულებითი მუშაობა მიუსაჯა.

აქედან ცხადია, რომ ზოგიერთი ვერ ამართლებს კომუნისტის სამაღო მოვალეობას. საჭიროა პირველადმა პარტიულმა ორგანიზაციებმა გადაჭრით გაუმჯობესონ მუშაობა და მიაღწიონ იმას, რომ ყოველი კომუნისტი მუშაობაში სამაგალითო იყოს, ამართლებდეს ავანგარდულ როლს საკოლმეურნეო წარმოებაში.

ბ. დავითაძე

საქართველოს კ. პ. (ბ) ხულოს რაიკომის საორგანიზაციო-საინსტრუქტორო განყოფილების გამგე.

არტილერისტები, უფროსი სერჟანტი ა. მრევლიშვილი და ზემდეგი ბ. საგანელიძე. მამაცობისა და ვაჟკაცობისათვის თვითეული მათგანი დაჯილდოებულია „წითელი ვარსკვლავის“ ორდენით და მედლით „საბრძოლო დამსახურებისათვის“.

საქართველოს კ. პ. (ბ) აბაშის რაიონის პარტიული კონფერენცია

საქართველოს კ. პ. (ბ) აბაშის რაიონის მე-10 პარტიული კონფერენციაზე რაიკომის განვლილი მუშაობის შესახებ მოხსენება გააკეთა საქართველოს კ. პ. (ბ) აბაშის რაიკომის მდივანმა ამხ. დ. ცანავამ. სარევიზიო კომისიის ანგარიშით გამოვიდა ამხ. გ. დანელია.

კამათში მონაწილეობა მიიღეს ამხანაგებმა: ბ. ბაკურიამ, ა. ქოიავამ, ლ. ნადარეიშვილმა, ფ. თოფურიამ, პ. ჯინჯიხაძემ და სხვ. — სულ 15-მა ამხანაგმა.

კონფერენციამ რაიკომის მუშაობა დამაკმაყოფილებლად შეაფასა.

შესდგა ახლად არჩეული რაიკომის პირველი პლენუმი, რომელმაც აირჩია რაიკომის ბიურო 5 წევრისა და 2 კანდიდატის შემადგენლობით. პლენუმმა საქართველოს კ. პ. (ბ) აბაშის რაიკომის პირველ მდივნად ერთხმად აირჩია ამხ. დ. ცანავა, მეორე მდივნად ამხ. —შ. ლოჩოშვილი, ხოლო მდივნად კადრების დარგში—ამხ. ა. ქოიავა.

კონფერენციისა და პლენუმის მუშაობაში მონაწილეობა მიიღო საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივნის მოადგილემ მიცხოველეობის დარგში ამხ. კ. ჭიჭინაძემ.

პ. ჩაბანავა

ზესტაფონელ მეფაღურგთა ავანგარდში

ზესტაფონი („კომუნისტის“ სპ. კორესპონდენტისაგან). ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნის მეოთხე საამქროს კოლექტივმა საოქტომბრო შეჯიბრებაში ახალი გამარჯვება მოიპოვა, საამქრო დიდი გადაჭარბებით ასრულებს ლითონის გამოდნობის გეგმებს და მტკიცედ ინარჩუნებს ქარხნის გარდამავალ წითელ დროშას.

საამქროს კოლექტივმა იკისრა წლის ბოლომდე წითელი არმიის. მთავარსარდლობის ფონდისათვის გეგმის გადამეტებით გამოუშვას 1.100.000 მანეთის ლითონი.

ორჯონიკიძის სახელობის მაღაროს წარმატება

ჭიათურა („კომუნისტის“ სპ. კორესპონდენტისაგან). მარგანეტრესტის ორჯონიკიძის სახელობის მაღაროს კოლექტივმა (დირექტორი ამხ. დ. ერგეშლიძე) ახალი გამარჯვებები მოიპოვა საოქტომბრო სოციალისტურ შეჯიბრებაში. მაღარომ ხუთი დღით ადრე შეასრულა მარგანეცის გამოღებისა და სასაქონლო პროდუქციის დამზადების ოქტომბრის გეგმა. წლიური დავალება დიდი გადაჭარბებით შეასრულეს სტახანოველებმა ჯიქიძემ, თაბაგარმა, კეკენაძემ, გარაყანიძემ და სხვ.

მაღაროს კოლექტივმა ახალი ვალდებულებები იკისრა.

პ. ჭიოკაძე

მოღიან წითელი ქარავნები

ზუგდიდი („კომუნისტის“ სპ. კორესპონდენტისაგან). დროშების ფრიალით შემოვიდნენ ქალაქში სიმინდისა და სოიოს მარცვლით დატვირთული ურმები.

ეს წითელი ქარავნებია. ისინი მიმღებ პუნქტში გამოგზავნა სოფელ ნარაზენის სტალინის სახელობის კოლმეურნეობამ, რომელმაც ერთ დღეს მთლიანად მოიხადა სახელმწიფო ვალდებულება. მან მიმღებ პუნქტს ჩაბარა 9.160 კილოგრამი სიმინდი და 2.000 კილოგრამი სოიო. ეს არის ახალი მოსავლის პირველი პარტია.

მალე მასობრივად დაიწყება სიმინდის ჩაბარება. „ზაგოტზერნოს“ განყოფილება მომზადებული ხვდება სასურველ სტუმრებს—კოლმეურნე მექარავნეებს, რომელნიც თავიანთ ვალს იხდიან სახელმწიფოს წინაშე.

რაზომ სოფლებ არაკონდიციურ თესლს?

ცაგერი („კომუნისტის“ სპ. კორესპონდენტისაგან). მთელი რიგი კოლმეურნეობები კარგად ასრულებენ საშემოდგომო თესვის სახელმწიფო გეგმებს და ამით მტკიცე საფუძველს უყრიან 1945 წლის უხვ მოსავალს. სოფელ თაბორის კოლმეურნეობამ „ლენინის გზით“ (თავმჯდომარე ი. სადილიანი) გეგმის გადამეტებით დასთესა 5 ჰექტარი პური. სოფელ ჩხუტელის კოლმეურნეობა „შრომამ“ (თავმჯდომარე ვ. მურცხალაძე) თესვის გეგმა 102 პროცენტით შეასრულა. პურის თესვა დაამთავრეს სოფელ უცხერის, ზარა გულის, ლახეფის, ცაგერას, ღუს კოლმეურნეობებმა.

მაგრამ ასე არ არის ყველგან. სოფელ ქვემო ლუხვანოს, ისუნდრის, ალანის, აჯერის კოლმეურნეობებს ჯერ კიდევ არც ერთი ჰექტარი არა აქვთ დათესილი. თესვა დაუშვებლად ჭიანურდება სოფელ ოფიტრის, ქვემო აღვის, მახურის, ქვემო ლაჯანის კოლმეურნეობებში.

პურის მაღალი მოსავალი დიდად არის დამოკიდებული თესლის ხარისხზე. ზოგან ამაზე ყურადღებას არ აქცევენ. სოფელ ნაკურალოში კოლმეურნეობა „ძმობამ“ და ზემო ლუხვანოს კოლმეურნეობა „წითელმა სხივმა“ 40-52 ცენტნერი არაკონდიციური თესლი დასთესეს. ასეთივე მდგომარეობაა სოფელ ზემო ლაჯანისა და კურკობის კოლმეურნეობებში. არაკონდიციური თესლის თესვა დანაშაულია. რატომ სჩადიან ამას?

გ. ყურაშვილი.

გამოუქვეყნებელი წერილების კვალდაკვალ

საკოლმეურნეო ქონების გამფლანგველები დაისაჯნენ

რედაქციაში შემოვიდა მამხილებელი წერილი, რომლის ავტორიც გვატყობინებდა, რომ სოფელ ცუცხვათის (ტყიბულის რაიონი) კოლმეურნეობაში ადგილი აქვს საკოლმეურნეო ქონების დაკაცებას, თანხების ფლანგვას და მთელ რიგ სხვა დანაშაულებრივ მოქმედებას. კოლმეურნეობის თავმჯდომარე რ. არაბიძე საკოლმეურნეო ქონების დამტაცებლებს ხელს უწყობს და ბოროტმოქმედების კვალის დასაფარავად ყალბ აქტებს ადგენსო.

წერილი გამოსარკვევად და ზომების მისაღებად გადაეგზავნა საქართველოს კ. პ. (ბ) ტყიბულის რაიკომის მდივანს ამხ. ჯვებენავას. რაიკომი გვატყობინებს, რომ წერილში მოყვანილი ფაქტები დადასტურდა. კოლმეურნეობის საერთო კრების დადგენილებით რ. არაბიძე მოიხსნა კოლმეურნეობის თავმჯდომარეობიდან და მისი საქმე, როგორც საკოლმეურნეო ქონების გამნიავებელთა მფარველისა, და ამასთან ყალბი აქტების შემდგენისა, სასამართლო ორგანოებს გადაეცა.

საკოლმეურნეო პარტიული ორგანიზაციის მდივანი, ფერმის გამგე მ. ბუბაშვილი, რომელმაც უმოქმედობა გამოიჩინა და საკოლმეურნეო ქონების დამტაცებელთა წინააღმდეგ არავითარი ზომები არ მიიღო, მოხსნილია ფერმის გამგის თანამდებობიდან, განთავისუფლებულია პარტიული ორგანიზაციის მდივნობიდან და საუვედური გამოეცხადა.

ცუცხვათის სასოფლო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ს. გაბრიაძეს, რომელიც სისტემატურად უდასტურებდა კოლმეურნეობის თავმჯდომარე არაბიძის ყალბ აქტებს, ხოლო სასოფლო საბჭოს აღმასკომის სხდომას მიაღებინა უკანონო დადგენილება ხორცის შემსყიდველის გამოყოფის შესახებ, რითაც ხელი შეუწყო მეცხოველეობის პროდუქტების განიავებას, გამოეცხადა საუვედური საალრიცხვო ბარათში შეტანით.

ცუცხვათის კოლმეურნეობაში ჩადენილ ბოროტმოქმედებათა მთელი მასალები გადაეცა რაიონის პროკურატურას კონკრეტული დამნაშავეების პასუხისგებაში მისაცემად.

ინფორმაციები

საომარი მოქმედება დასავლეთ ევროპაში

ლონდონი, 31 ოქტომბერი. (საკდესი). მოკავშირეთა საექსპედიციო ძალების უმაღლესი სარდლობის შტაბის ცნობაში ნათქვამია:

ზიდ-ბეველანდი მოკავშირეთა ხელშია. 30 ოქტომბერს დილაადრიან ხელთ ვიგდეთ ქალაქი გუსი. მოკავშირეთა ჯარებმა, რომლებიც დასავლეთისაკენ მიიწევენ რკინიგზის გასწვრივ, მიაღწიეს ვალპერენისაკენ მიმავალ რკინიგზის შტოს.

მდინარე შელდასთან მოწინააღმდეგის ჯარების გაბშემორტყმის რაიონში მტრისაგან გაწმენდილია მიწის მცირე ზოლი. სლეისის რაიონში მძიმე ბრძოლები სწარმოებდა.

ბერგენ-ოპ-ზოომისა და როზენდაალის სექტორში აღნიშნულია მოკავშირეთა ჯარების წინსვლა.

როზენდაალი დაკავებულია; მოკავშირეები სტეენბერგენიდან სამ მილზე იმყოფებიან და აუდ გასტელი რაიონზე მიიწევენ. [illegible] ჩრდილო-დასავლეთიდან [illegible] ერთგვარ წინსვლა. მოკავშირეთა ჯარებმა [illegible] მთელი გზა ბერგენ-[illegible] [illegible] შეუა. ტილბურგის ჩრდილო-დასავლეთით გრძელდება შეტევა ფართო ფრონტზე; მოკავშირეებმა ოსტერგაუტის გარეუბნებს მიაღწიეს და უფრო აღმოსავლეთით კაპელს მიდამოებში იმყოფებიან.

მეზიერ-ლე-მეცი გაწმენდილია მოწინააღმდეგისაგან.

ფრონტის სხვა უბნებზე აახენიდან ლუნეველამდე პატრულების მოქმედება გრძელდებოდა. ერთგვარი წინსვლა აღნიშნულია რამბერვილიეს აღმოსავლეთით.

მოკავშირეთა ავიაცია ხელს უწყობდა სამელეთო ნაწილების მოქმედებას და მთელი რიგი თავდასხმები მოახდინა მოწინააღმდეგის ობიექტებზე გერმანიაში.

საომარი ოპერაციების ხმელთაშუა ზღვის ასპარეზზე მოქმედი მოკავშირეთა შეიარაღებული ძალების შტაბის ცნობა

ლონდონი, 31 ოქტომბერი. (საკდესი). საომარი ოპერაციების ხმელთაშუა ზღვის ასპარეზზე მოქმედი მოკავშირეთა შეიარაღებული ძალების შტაბის დღევანდელ ცნობაში ნათქვამია, რომ საომარი მოქმედება იტალიაში ადგილობრივი ოპერაციებით ხასიათდებოდა.

საბერძნეთში მოკავშირეთა ჯარები განაგრძობენენ გერმანელთა არიერგარდების დევნას კოზანის ჩრდილოეთით.

მოკავშირეთა ავიაციის მოქმედება

ლონდონი, 31 ოქტომბერი. (საკდესი). როგორც ოფიციალურად იუწყებიან, 30 ოქტომბერს ამერიკელმა 800-ზე მეტი მძიმე ბომბდამშენი 950-ზე მეტი ავიაგამანადგურებლის თანხლებით თავს დაესხა მოწინააღმდეგის სამრეწველო ობიექტებსა და კომუნიკაციებს ჰამში, მიუნსტერში, ჰამბურგსა და ჰარბურგში.

დაზვერვამ გამოარკვია, რომ ინგლისის თვითმფრინავთა თავდასხმის შედეგად, რაც 28 ოქტომბერს დღისით მოხდა, ვრცელი რაიონი მიუღებიათ ახლოს, კელნის ჩრდილო-აღმოსავლეთით, სრულიად დანგრეულია. მოსპობილია ავრეთვე სამრეწველო ქალაქ ბრაუნშვაიგის მნიშვნელოვანი ნაწილი; 13 ოქტომბერს ღამით ბრაუნშვაიგზე ინგლისის თვითმფრინავთა თავდასხმის შედეგად ამ ქალაქის მხოლოდ დასავლეთი და სამხრეთ-დასავლეთი გარეუბნები გადარჩნენ.

30 ოქტომბერს მოკავშირეთა ავიაცია თავს დაესხა სინთეზური საწვავის ქარხანას ზეზელინგში (9 მილზე კელნის სამხრეთით) და მოწინააღმდეგის სამხედრო ობიექტებს კუნძულ ვალჩერენზე.

რეიტერის საგენტოს ცნობით, 29 ოქტომბერს ღამით ინგლისის თვითმფრინავები ორჯერ დაესხნენ თავს კელნს. მფრინავების დაკვირვებით, კელნში ისევ გრძელდებოდა ხანძრები, რომლებიც გაჩნდა 29 ოქტომბრის ქალაქის დაბომბვის დროს.

ინგლისის თვითმფრინავებისა და ხომალდების ოპერაციები ნორვეგიის ნაპირებთან

ლონდონი, 31 ოქტომბერი. (საკდესი). საზღვაო სამინისტრომ ცნობა გამოაქვეყნა, რომ ინგლისის საზღვაო ავიაციის თვითმფრინავებმა, რომელთაც ბაზა ავიოსნებზე ჰქონდათ და რომელნიც ფლოტის ხომალდებთან ერთად მოქმედებდნენ, მთელი რიგი წარმატებითი იერიშები მიიტანეს მტრის გემებზე ნორვეგიის სანაპიროსთან და სანაპირო ნაგებობებზე ნორვეგიაში. ამ ოპერაციათა მსვლელობაში ჩაძირულია მტრის 6 გემი და დაზიანებულია წყალქვეშა ნავი და 19 გემი. მოწინააღმდეგის შეიარაღებული გემი და ტრალერი იძულებული გახდნენ ნაპირზე გარიყულიყვნენ.

ხმელეთზე ჰაერიდან წარმატებითი იერიშები მიიტანეს სხვადასხვა ნაგებობებზე.

ჩერჩილმა მიიღო საბჭოთა პროფკავშირული დელეგაციის წევრები

ლონდონი, 31 ოქტომბერი. (საკდესი). როგორც რეიტერის საგენტო გადმოგცემს, 30 ოქტომბერს ინგლისის პრემიერ-მინისტრმა უ. ჩერჩილმა მიიღო წევრები საბჭოთა პროფკავშირული დელეგაციისა, რომელიც მონაწილეობდა ინგლის-საბჭოთა კავშირის პროფკავშირული კომიტეტის სხდომებში.

სამხედრო დამნაშავეთა დაპატიმრება ფინეთში

ჰელსინკი, 30 ოქტომბერი. (საკდესი). განსახორციელებლად ფინეთთან დროებითი ზავის შესახებ შეთანხმების მე-13 მუხლისა, რომლის თანახმადაც ფინეთმა ვალდებულება იკისრა ითანაშშრომლოს მოკავშირე სახელმწიფოებთან იმ პირთა შეპყრობაში, რომელთაც ბრალდებათ საშხედრო დანაშაულობანი, და მათს გასამართლებაში, ფინეთის მთავრობამ განკარგულება მისცა სათანადო სამხედრო ხელისუფალთ დაეპატიმრონ 44 კაცი, რომელთაც ბრალდებათ სამხედრო დანაშაულობანი. ამ განკარგულების შესაბამისად, ფინეთის ხელისუფლებამ ჯერჯერობით დაეპატიმრა 33 კაცი. დაპატიმრებულთა შორის მოხსენებული არიან: მე-8 ქვეითი დივიზიის მეთაური გენერალ-მაიორი პოლოიარვი, მე-18 ქვეითი დივიზიის მეთაური გენერალ-მაიორი პოიარი და სხვ.

ბრძოლები იუგოსლავიაში

იუგოსლავიის ჯარებმა დაიკავეს ქალაქი და ნავსადგური სკლიტი

ბელგრადი, 30 ოქტომბერი. (საკდესი). იუგოსლავიის სახალხო-განმათავისუფლებელი არმიის უმაღლესი შტაბი იუწყება, რომ დალმაციაში იუგოსლავიელთა შემტევმა ნაწილებმა სამი დღის გაფთრებული ბრძოლების შედეგად გაათავისუფლეს ქალაქი და ნავსადგური სკლიტი, გერმანელთა დიდმნიშვნელოვანი დასაყრდენი პუნქტი იუგოსლავიის ადრიატიკის სანაპიროზე. სახალხო-განმათავისუფლებელი არმიის ჯარებმა დაიკავეს ავრეთვე ქალაქები სინი, დივეულე, სოლინი, კაშტელი, კლისი და ტროგირი.

იაპონიის ჯარები გუილინს უზეავენ

ჩუნცინი, 30 ოქტომბერი. (საკდესი). ჩინეთის სარდლობის ცნობების თანახმად, იაპონელებმა, 16 ოქტომბრიდან დაწყებული, არაერთხელ სცადეს წინ წაეწიათ დასავლეთით ხუნანის პროვინციიდან გუანსის პროვინციაში შემავალი რკინიგზის გასწვრივ. ამ რკინიგზაზე მდებარეობს გუანსის პროვინციის დედაქალაქი გუილინი.

27 ოქტომბერს დილით იაპონელებმა დაიწყეს დიდი შეტევა გუილინის წინააღმდეგ. 28 ოქტომბერს ჩინეთის სარდლობამ გადასცა ცნობა, რომ იაპონიის ჯარების მეწინავე კოლონები მიადგნენ გუილინის გარეუბნებს, სადაც ამჟამად გაფთრებული ბრძოლები სწარმოებს.

უნივერსიტეტის „შრომები“

გამოვიდა სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის „შრომების“, მე-16 ტომი, სერია ბ (ჰუმანიტარული მეცნიერებანი). „შრომებში“ დაბეჭდილია შემდეგი წერილები: ა. ვაჩეიშვილი — „ვახტანგ VI კანონმდებლობის ზოგიერთი საკითხი“, ს. ბერაძე — „კ. მარქსის „კაპიტალის“ ისტორიული მნიშვნელობა“, ნ. ქოიავა — „ფულის სისტემათა ინტერნაციონალიზაციის საკითხისათვის“, გ. გოზალიშვილი—„ბიზანტიასა და ირანს შორის ბრძოლა ხბერიი-ლაზიკისათვის VI საუკუნეში“, გ. ნათაძე — „დოშის თეორიის კრიტიკა და თანამედროვე ფაშიზმი“, ლ. მელიქსეთ-ბეგი — „სომხურ-ქართული ლიტერატურული ურთიერთობის ისტორიიდან“, ნ. ბერძენიშვილი — „ღევნდის ცნობა ფოთის შესახებ“, ი. აბულაძე — „ვეფხის-ტყაოსნის“ ლექსიკიდან“, ა. ჩიქობავა — „სტრუქტურალიზმი, როგორც თანამედროვე ენათმეცნიერების მიმდინარეობა“.

„შრომების“ მე-16 ტომი, რომლის რედაქტორია აკადემიკოსი ა. ჯანელიძე, შეიცავს 244 გვერდს და ღირს 10 მანეთი.

თეატრებში

1 ნოემბერს: **სახელმწიფო ოპერა** — „ფაუსტი“. **რუსთაველის სახელობის** — „უდანაშაულო დამნაშავენი“. **მარჯანიშვილის სახელობის** — „რაც გინახავს ვეღარ ნახავ“. **გრიბოედოვის სახელობის** — „უკანასკნელი მსხვერპლი“. **სომხური** — „აღმოსავლეთის დანტისტი“. **ახუნდოვის სახელობის** — „არშინ მალ-ალან“. **მუსკომედიის** — „მზის დაბნელება“. **მოზარდი მაყურებლის** — ქართული — „ჩექმებიანი კატა“, რუსული — „ოქროს გასაღები“.

კინოებში

1 ნოემბერს: **რუსთაველის სახელობის, ოქტომბერი** — „ზოია“. **დამკვრელი** — „მასწავლებელი“. **სპარტაკი** — „მზიური ველის სერენადა“ **კომკავშირელი** — „ვოლგა-ვოლგა“. **26 კომისრის სახელობის** — „გრიგალი“. **ლუქსემბურგის სახელობის** — „ჯორჯი დინკი-ჯაზიდან“.

პასუხისმგებელი რედაქტორი
ბ. ნანიტაშვილი

პრაგის ჩრდილო-დასავლეთით

მოქმედი არმია, 31 ოქტომბერი. (საკდესის სპეც. კორ.). ჩრდილოეთისაკენ მიმავალი გზა ტყეებზე გადის. გზატკეცილს სასოფლო გზა სცვლის. ამ გზით მიეშურებიან სასოფლო გზა ბერგენ-[illegible] [illegible] შეუა. ტილბურგის ჩრდილო-დასავლეთით გრძელდება შეტევა ფართო ფრონტზე; მოკავშირეებმა ოსტერგაუტის გარეუბნებს მიაღწიეს და უფრო აღმოსავლეთით კაპელს მიდამოებში იმყოფებიან.

მეზიერ-ლე-მეცი გაწმენდილია მოწინააღმდეგისაგან.

ფრონტის სხვა უბნებზე აახენიდან ლუნეველამდე პატრულების მოქმედება გრძელდებოდა. ერთგვარი წინსვლა აღნიშნულია რამბერვილიეს აღმოსავლეთით.

მოკავშირეთა ავიაცია ხელს უწყობდა სამელეთო ნაწილების მოქმედებას და მთელი რიგი თავდასხმები მოახდინა მოწინააღმდეგის ობიექტებზე გერმანიაში.

ინფორმაციები

ინგლისის თვითმფრინავებისა და ხომალდების ოპერაციები ნორვეგიის ნაპირებთან

ლონდონი, 31 ოქტომბერი. (საკდესი). საზღვაო სამინისტრომ ცნობა გამოაქვეყნა, რომ ინგლისის საზღვაო ავიაციის თვითმფრინავებმა, რომელთაც ბაზა ავიოსნებზე ჰქონდათ და რომელნიც ფლოტის ხომალდებთან ერთად მოქმედებდნენ, მთელი რიგი წარმატებითი იერიშები მიიტანეს მტრის გემებზე ნორვეგიის სანაპიროსთან და სანაპირო ნაგებობებზე ნორვეგიაში. ამ ოპერაციათა მსვლელობაში ჩაძირულია მტრის 6 გემი და დაზიანებულია წყალქვეშა ნავი და 19 გემი. მოწინააღმდეგის შეიარაღებული გემი და ტრალერი იძულებული გახდნენ ნაპირზე გარიყულიყვნენ.

ხმელეთზე ჰაერიდან წარმატებითი იერიშები მიიტანეს სხვადასხვა ნაგებობებზე.

ჩერჩილმა მიიღო საბჭოთა პროფკავშირული დელეგაციის წევრები

ლონდონი, 31 ოქტომბერი. (საკდესი). როგორც რეიტერის საგენტო გადმოგცემს, 30 ოქტომბერს ინგლისის პრემიერ-მინისტრმა უ. ჩერჩილმა მიიღო წევრები საბჭოთა პროფკავშირული დელეგაციისა, რომელიც მონაწილეობდა ინგლის-საბჭოთა კავშირის პროფკავშირული კომიტეტის სხდომებში.

სამხედრო დამნაშავეთა დაპატიმრება ფინეთში

ჰელსინკი, 30 ოქტომბერი. (საკდესი). განსახორციელებლად ფინეთთან დროებითი ზავის შესახებ შეთანხმების მე-13 მუხლისა, რომლის თანახმადაც ფინეთმა ვალდებულება იკისრა ითანაშშრომლოს მოკავშირე სახელმწიფოებთან იმ პირთა შეპყრობაში, რომელთაც ბრალდებათ საშხედრო დანაშაულობანი, და მათს გასამართლებაში, ფინეთის მთავრობამ განკარგულება მისცა სათანადო სამხედრო ხელისუფალთ დაეპატიმრონ 44 კაცი, რომელთაც ბრალდებათ სამხედრო დანაშაულობანი. ამ განკარგულების შესაბამისად, ფინეთის ხელისუფლებამ ჯერჯერობით დაეპატიმრა 33 კაცი. დაპატიმრებულთა შორის მოხსენებული არიან: მე-8 ქვეითი დივიზიის მეთაური გენერალ-მაიორი პოლოიარვი, მე-18 ქვეითი დივიზიის მეთაური გენერალ-მაიორი პოიარი და სხვ.

პირველი საბრძოლო გაფრენა

წითელდროშოვანი ბალტიის ფლოტი, 31 ოქტომბერი. (საკდესის სპეც. კორ.). ქარს მიმოაქვს ჩამოცვენილი ყვითელი ფოთლები. ისინი ჰაერში ტრიალებენ და ნოხივით ეფინებიან ტყის ბილიკებს. ერთ-ერთ ასეთ ბილიკს მივყვებართ აეროდრომთან, სადაც ბაზა აქვთ საზღვაო თვითმფრინავებს.

ტყის პირას არყის ხეებთან დგას ადამიანთა დიდი ჯგუფი. აქ გაკრულია დაფა საბჭოთა საინფორმაციო ბიუროს უკანასკნელი ცნობებით. ქინძისთავით მიმაგრებულ რვეულის თეთრ ფურცელზე ცნობის ბოლოს დაბეჭდილია:

„...წითელდროშოვანი ბალტიის ფლოტის მფრინავებმა ჩასძარეს მოწინააღმდეგის ტრანსპორტი 5 ათასი ტონა წყალწყვისა, გარდა ამისა, ჩაძირულია მოწინააღმდეგის საგუშაგო ხომალდი“.

— აი ეს ჩვენი ნახელავია. აქ იმუშავა პოდიაჩევის კომკავშირულმა ეკიპაჟმა, — ღიმილით ამბობს ერთ-ერთი მფრინავი.—თავისი პირველი საბრძოლო გაფრენა ახალგაზრდამ გამარჯვებით აღნიშნა.

გვაცნობენ ეკიპაჟს. პილოტ პოდიაჩევის, შტურმან ზაიფმანისა და მსროლელ — რადისტ გრეჩინის გარშემო გროვდებიან ამხანაგები, ეკითხებიან საბრძოლო გაფრენის დაწვრილებითს ამბებს.

— საამბობიც არაფერია. თვითონ იცით, ამინდი ახლა ხელსაყრელი არ არის, ხილვადობა სუსტია. მაგრამ შტურმანმა ზუსტად მიიყვანა თვითმფრინავი საბაზისოსთან. აღმოვაჩინეთ ოთხი ტრანსპორტისაგან შემდგარი მტრის ქარავანი, რომელსაც 13 საგუშაგო ხომალდი იცავდა. მოვემზადეთ საიერიშოდ. შეუჩნევლად მივუახლოვდით ერთ საგუშაგო ხომალდს და დავაყარეთ ბომბები. ხომალდი გადაიხარა და ჩაიძირა...

საჰაერო ხომალდის შტურმანი უმცროსი ლეიტენანტი ზაიფმანი ლაპარაკობს იმაზე, თუ რა გულდასმით ემზადებოდა ეკიპაჟი საბრძოლო დავალების შესასრულებლად.

— ვიდრე დამოუკიდებელ საბრძოლო გაფრენაში გაგვიშვებდნენ, რამდენიმე კვირას ვვარჯიშობდით. ამ ცოტა ხნის წინათ ახლოს მდებარე ერთ პატარა ტბასთან გავედით და მის თავზე სასწავლო ბრძოლა ჩავატარეთ.

ჩვენს ჯგუფს უახლოვდება მორიგე ოფიცერი.

— პოლკის მეთაური უმცროს ლეიტენანტ პოდიაჩევის ეკიპაჟს ეძახის საბრძოლო დავალების მისაღებად.

ა. არნოლდოვი

კირკენესი

კირკენესი, 30 ოქტომბერი. (საკდესის სპეც. კორ.). მთის გზა მიიკლაკნება სრულიად შიშველ ბორცვებს შორის, სადაც მხოლოდ ალაგალაგ ჰხარობს არყის ხე. ასე იწყება ნორვეგია. ამ გზით მისდევდნენ გერმანელებს ჩვენი ჯარები პეტსამოდან კირკენესისაკენ.

მაგრამ აი იწყება დალმართი. ტყე უფრო ხშირი ხდება. შემოდგომისაგან გაშიშვლებულ ხეებში მოსჩანან სხვადასხვაფერად შეღებილი კოტეჯები. მუშათა დაბები ტორიბოკტი და ტორნეტი ნაკლებად დაზარალდნენ გერმანელთაგან—ისე სწრაფად გაიქცნენ აქედან ჰიტლერელები. მაგრამ მცხოვრებნი თითქმის არა სჩანან. ნორვეგიელები მთებში იმალებოდნენ, რათა თავი გადაერჩინათ ფაშისტთა მიერ ძალად გარეკვისაგან. ახლა ისინი თანდათან ბრუნდებიან უკან. ადგილობრივ მცხოვრებთა პირველი ჯგუფები იკრიბებიან გზაჯვარედინებზე, გზებში, ღიმილით ეგებებიან ჩვენს მებრძოლებსა და ოფიცრებს და მიესალმებიან მათ.

ხნიერმა ნორვეგიელმა იალმარ ენსენმა, რომელსაც გზაში შეეგებით, რამდენიმე რუსული სიტყვა იცის: ომამდე იგი საბაჟო გემებით დადიოდა მურმანსკსა და არხანგელსკში.

— მადლობა, რუს ჯარმა!—ამბობს იგი მგრძნობიარედ.

კირკენესში რომ შეხვიდე, ფიორდი უნდა გაიარო. რკინიგზის ხიდი აფეთქებულია გერმანელთაგან. აქ იყო ჰიტლერელთა სასოწარკვეთილი წინააღმდეგობის ერთერთი უკანასკნელი ზღუდე. საბჭოთა მებრძოლებმა მტრის ეშელონებს გადალახეს ფიორდი და გერმანელები განდევნეს კირკენესის გარეუბან—მუშათა დაბა ელვენესიდან. ახლა ფიორდზე უკვე მოგვარებულია რეგულარული გადასვლა. ამავე დროს მესანგრეები ხიდს აღადგენენ.

რამდენადაც ქალაქს უახლოვდებით, მით უფრო აშკარად სჩანს ჰიტლერელთა მიერ აქ ჩადენილი საშინელი ნგრევის კვალი. რკინიგ